ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

ქ. მარტვილი

ბრძანება:**ბ58. 58242202**

თარიღი:**07/08/2024**

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ს.კ: 41.12.31.222 მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 ნაგებობის პრივატიზების მიზნით უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების მე-5 მუხლის, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ „დ.ა“ „ე.ე“ პუნქტების, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნომებრის N 81 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადებული იქნას უპირობო ელექტრონული აუქციონი მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ს.კ: 41.12.31.222 მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N 1 ნაგებობის პრივატიზების მიზნით. ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 33 100 (ოცდაცამეტიათას ასი) ლარის ოდენობით „ბე“ 9930 ლარით ,,ბიჯი“ 500 ლარით

2. ზემოაღნიშნულ ქონებებზე აუქციონის დაწყებისა და დამთავრების დრო განისაზღვროს შემდეგნაირად: აუქციონი დაიწყოს 2024 წლის 12 აგვისტოს 12.00 საათზე და დამთავრდეს 2024 წლის 19აგვისტოს 16.00 საათზე

3. ბრძანების შესრულება დაევალოს მარტვილის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვასთან დაკავშირებით შექმნილ კომისიას და მანვე უზრუნველყოს სააუქციონო განცხადების გამოქვეყნება ვებ.გვერდზე www.eauction.ge-ზე

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ N 247) მისი გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

თორნიკე ჯანაშია

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი